

შეტყობინება მეორე

დავიმკვიდროთ ყოვლისმომცველი ქრისტე როგორც კეთილი მიწა,
ჩავწვდეთ მისი რჩევის სიტყვებს და გაფრთხილებებს
და მივიღოთ მისი განახლებული სწავლება,
რათა ჩვენი შინაგანი ადამიანი განახლდეს დღითი დღე

ადგილები წერილიდან: ებრ. 3:12, 16-19; 4:2, 6; 11:1; 1 კორ. 10:1-14;
ფსალ. 106:24-25; რჯლ. 8:3; მათე 4:4

- I. ღმერთმა მოუწოდა ისრაელის შვილებს იმ მიზნით, რომ ისინი, როდესაც შევიდოდნენ დაპირებულ მიწაზე და დატკებოდნენ მისი სიმდიდრით, დააფუძნებდნენ ღმერთის სამეფოს და იქნებოდნენ ღმერთის გამოხატულება დედამიწაზე – გამ. 3:8, 14, 17:
- ა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ისრაელი იყო გამოსყიდული პასექის მეშვეობით, თავი დააღწია ეგვიპტის ტირანიას და მიყვანილ იქნა ღმერთის მთასთან, რათა მიეღო გამოცხადება ღმერთის საცხოვრებელზე, სავანეზე, თითქმის ყველა მათგანი დაეცა და მოკდა უდაბნოში, ისე რომ ვერ შეძლო მიეღწია ამ მიზნისათვის (ებრ. 3:7-19) თავისი ბოროტი საქმეებისა და ურწმუნოების გამო.
 - ბ. ეს აღნიშნავს, რომ, თუმცა ჩვენ გამოსყიდული ვართ ქრისტეს მეშვეობით, თავი დავაღწიეთ სატანის მარწუხებს და მიყვანილი ვართ გამოცხადებასთან ღმერთის სახლმშენებლობის შესახებ, არსებობს შესაძლებლობა, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ მივაღწიოთ ღმერთის მოწოდების მიზანს, ანუ შევიდეთ ჩვენი კეთილი მიწის, ქრისტეს, ფლობაში და დავტკებთ მისი სიმდიდრით ღმერთის სამეფოსათვის, რათა ვიყოთ მისი გამოხატულება დღევანდელ საუკუნეში და მონაწილეობა მივიღოთ ქრისტეთი ყველაზე სრულ ტკობაში სამეფოს საუკუნეში – მათე 25:21, 23.
 - გ. მხოლოდ ქალებმა და იესო ნავეს ძემ მიაღწიეს მიზანს და შევიდნენ კეთილ მიწაზე; მსგავსად ქალებისა და იესო ნავეს ძის, ჩვენ, ახალი აღთქმისეული მორწმუნეები, უნდა „ვესწრაფოთ მიზანს“ (ქრისტეთი ტკობა და ქრისტეს მოპოვება მთელი სისავსით) „ჯილდოსათვის“ (უმაღლესი ტკობა ქრისტეთი ათასწლოვან სამეფოში) – რიცხ. 14:27-30; ფილიპ. 3:12-14:
 - 1. ათი თორმეტი ადამიანიდან, რომლებიც მოსემ გაგზავნა, რათა მათ დაეზვერათ მიწა, მოიტანეს ცუდი ამბავი, რომელმაც აღძრა ისრაელის შვილები, რომ მათ ეწუწუნათ და აჯანყებულიყვნენ უფლის სიტყვების წინააღმდეგ, მაგრამ ქალებმა და იესო ნავეს ძემ უთხრეს მთელ საზოგადოებას: „ლონდ ნუ ამბობდებით იეჰოვას წინააღმდეგ და იმ ქვეყნის ხალხისა [ყენაკები] ნუ გეშინიათ, რადგან ჩვენი პურია ის“ – რიცხ. 14:9.
 - 2. ღმერთის სიტყვა არის ჩვენი პური (მათე 4:4), ღმერთის სიტყვის ასრულება არის ჩვენი საკვები (იოანე 4:34), და ასევე ჩვენი პური არის ყენაკის ძენი (რიცხ. 14:9), რომლებიც განასახიერებენ, როგორც შეიძლება მოგვეჩვენოს, გაურკვეველ წინააღმდეგობებს და გამოუვალ სიტუაციებს ჩვენს სწრაფვაში ქრისტესადმი ეკლესიის ასაშენებლად.
 - 3. ყველა სირთულე და ცდუნება, რომლებსაც სატანა გვიგზავნის ჩვენს გზაზე, არის ჩვენთვის საკვები; ეს არის ღმერთის მიერ დადგენილი საშუალება სულიერი წინსვლისა (1 ტიმ. 4:15-16); თუ ჩვენ ვიქნებით დაიმედებული იმაზე, რომ უფალი გვაძლევს ჩვენ გამარჯვებას, და ნებას მივცემთ მის გამარჯვებულ

სიცოცხლეს, გამოვლინდეს ჩვენში, ჩვენ ვიპოვით ახალ გამოკვებასა და გადიდებულ სასიცოცხლო უნარს (იესო ნ. 14:11-15).

4. იმისათვის, რომ გვქონდეს ღმერთის შემნახველი ძალა, ჩვენ უნდა ვავარჯიშოთ ჩვენი რწმენის სული და შევინარჩუნოთ ჩვენი გული მიმართული უფლისკენ იმ მიზნით, რომ მთელი გულით გვწამდეს მისი დაპირებები (2 კორ. 4:13; 3:16; 1:20), გვწამდეს, რომ ის იმყოფება თავის ხალხთან, და გვწამდეს, რომ მათ სრულად შეუძლიათ გამარჯვება (იესო ნ. 14:12-15; რიცხ. 13:30); ჩვენ უნდა მივანდლოთ ჩვენი სამშინველები როგორც დეპოზიტი ღმერთს, ერთგულ შემოქმედს (1 პეტ. 4:19), გადავცეთ ჩვენი თავი მას, რომ შეინახოს ჩვენი სიცოცხლე (2 ტიმ. 1:12).
5. თუ ჩვენ ვიქნებით დაიმედებული მის დაპირებებზე და მივანდობთ ჩვენს თავს მთლიანად მას, ჩვენ ვიქნებით შენახულნი დაწყებული იმ დღიდან და მისი დაბრუნების დღემდე; მას შეუძლია, შეგვინახოს ჩვენ დაბრკოლებისგან და დაგვაყენოს ჩვენ თავისი დიდების წინაშე ხინჯის გარეშე აღტაცებაში – იუდა 24.
6. თუ ჩვენ ვაპირებთ, რომ მთლიანად დავეუფლოთ ქრისტეს როგორც კეთილ მიწას, ჩვენ უნდა გაფრთხილდეთ, რომ ჩვენ არ გვქონდეს ბოროტი გული ურწმუნობის; არ გვწამდეს უფალში – ნიშნავს ვჯანყობდეთ მის წინააღმდეგ – რჯლ. 1:25-26, 28, 35-39; 9:23; ებრ. 3:12, 16-19; 4:2, 6; 11:1; შდრ. 2 კორ. 4:13; გალ. 3:2, 5; რომ. 10:17; საქმე. 6:5ა; რიცხ. 13:25-33; 14:4-10; 32:11-12; იესო ნ. 14:6-12; 1 კორ. 10:1-13.
7. თუ ჩვენ ვაპირებთ, მთლიანად მოვიპოვოთ ქრისტე როგორც კეთილი მიწა, ჩვენ უნდა მოვერიდოთ წუწუნს (უკმაყოფილო და დაფარულ ბოდვას, ბუზღუნსა და საყვედურებს); წუწუნი არის გაურკვეველი, გამოსატული დაღუპებული ხმით საყვედური უკმაყოფილო ტონით და მწარე გაღიზიანებით – მუხ. 10; ფსალ. 106:24-25; ფილიპ. 2:14.

II. თუ ჩვენ ვაპირებთ, მთლიანად მოვიპოვოთ ქრისტე როგორც კეთილი მიწა, მოციქული პავლე ამბობს, რომ ჩვენ უნდა გავექცეთ კერპთაყვანისცემას“ (1 კორ. 10:14), ეს მიუთითებს ისრაელის შვილების კერპთაყვანისცემაზე ოქროს ხბოს თაყვანისცემისას (გამ. 32:1-6):

- ა. ოქროს ხბო იყო კერპი, გაკეთებული ღმერთის მიერ გამოსყიდული ხალხის მიერ; ადგნენ, რათა ითამაშონ, – ნიშნავს გადაეცნენ ქეიფს (ანუ მღელვარე გართობას); კერპი ჩვენს გულში არის ყველაფერი ჩვენში, რაც ჩვენ გვიყვარს უფრო მეტად, ვიდრე უფალი, და რაც გვიცვლის უფალს ჩვენს ცხოვრებაში (ეფეკ. 14:3); ჩვენ, ნამდვილი შვილები ნამდვილი ღმერთისა უნდა ვიყოთ ფრთხილად და დავიცვათ ჩვენი თავი კერპებისაგან (1 იოანე 5:21), ყველა სუროგატისაგან და ქრისტეს შემცველებისგან ჩვენს ცხოვრებაში.
- ბ. ჩვენ უნდა მივიდლოთ გაფრთხილების სახით ოქროს ხბოს როგორც კერპის პრინციპი – კერპისა, რომელიც გააკეთა ღმერთის გამოსყიდულმა ხალხმა, რამაც გახადა ისინი კერპთაყვანისმცემლური ბანაკი; კერპთაყვანისცემა მოიცავს თავის თავში ხუთ პრინციპს – 1 კორ. 10:5-7:
 1. საკუთარი თავის გალამაზებას მიჰყვას ადამიანი კერპთაყვანისცემასთან (გამ. 32:1-4; 33:5-6; დაბ. 35:1-4); ღმერთი არის ჩვენი სილამაზე, და ის რთავს ეკლესიას როგორც თავისი სილამაზის სახლს, რათა ის იყოს მორთული (ესაია 60:7, 19, 21; ეფეს. 5:26-27); ჩვენი „მეს“ გამოსატულებაში არის დაყოფა, ხოლო ღმერთის ერთობლივ გამოსატულებაში, დეტალებრივ დიდებაში, არის ერთობა (იოანე 17:22-24); ჩვენი სამუშაო არის ჩვენი ცხოვრება, რათა განადიდოს, გამოსატოს, ღმერთი დედამიწაზე (მუხ. 4; 1 კორ. 10:31; ეს. 43:7), და ჩვენს ლაპარაკში ჩვენ

არ უნდა ვეძებოთ საკუთარი დიდება, იმით, რომ ვიქადაგოთ ჩვენი თავი; პირიქით, ჩვენ უნდა ვიქადაგოთ ქრისტე იესო როგორც უფალი, ჩვენი თავი კი – როგორც მონები, რათა ვემსახუროთ მორწმუნეებს (იოანე 7:17; 2 კორ. 4:5).

2. კერპთაყვანისცემა არის ის, რომ სატანა იპყრობს იმას, რაც მოცემულია ჩვენთვის ღმერთის მიერ იმ მიზნით, რომ დახარჯოს ეს უსარგებლოდ; ეს არის ის, რომ ჩვენ ბოროტად ვიყენებთ იმას, რაც მოგვცა ჩვენ ღმერთმა, და არ ვიყენებთ ღმერთის ნიჭებს, როგორც მატერიალურს, ასევე სულიერს, ღმერთის ჩანაფიქრისათვის; ოქრო, რომელიც ღმერთმა ეგვიპტელების მეშვეობით მისცა ისრაელის შვილებს მათი გამოსვლის წინ ეგვიპტიდან, უნდა ყოფილიყო გამოყენებული სავანის ასაშენებლად; მაგრამ ჯერ კიდევ მანამდე, რაც ოქრო შესაძლებელი იყო გამოყენებული ღმერთის ჩანაფიქრისთვის, ის იყო დაპყრობილი სატანის მიერ და გამოყენებული ღმერთის ხალხის მიერ იმისათვის, რომ გაეკეთებინათ კერპი – გამ. 11:2-3; 12:35-36; 25:2-8; 35:4-9.
 3. კერპთაყვანისცემა არის იმის თაყვანისცემა, რითიც ჩვენ ვტკბებით, თაყვანისცემა მხიარულობისა და გართობისა; დიახ, ჩვენ ვტკბებით უფლით, მაგრამ ეს არ არის სხვადასხვა ქვეყნიური სიხარული და გართობა – 32:6, 18-19; შდრ. ფსალ. 36:8-9:
 - ა). პავლე აფრთხილებს კორინთელებს ამჟვარად: არც კერპთაყვანისმცემლები გახდეთ, ზოგიერთი მათგანივით, როგორც წერია: დასხდა ხალხი საჭმელ-სასმელად, და წამოდგნენ სათამაშოდ“ (1 კორ. 10:7; გამ. 32:6); ჩარლ კოუტსი ამბობს, რომ მათ მოაწვევს სპორტული შეჯიბრი; დასვენების დღეებში მრავალ ადამიანს აინტერესებს მხოლოდ საჭმელი, დასალევი და სპორტი.
 - ბ). „თამაში“ – ნიშნავს გართობას, ხუმრობას, და ასევე მოქმედებას, მსახიობობას, ან რაიმე არასერიოზულის ლაპარაკს; „თამაში“ – ნიშნავს მხიარულად და გახსნილად მოქცევას; ეს ნიშნავს გადავეცეთ მხიარულებას, ანუ საშიშ გართობას.
 4. კერპთაყვანისცემას ახასიათებს მოჩვენებითი თაყვანისცემა ჭეშმარიტი ღმერთისა – მუხ. 4-6; 3 მეფ. 12:26-30; შდრ. მათე 4:8-11; იოანე 4:23-24.
 5. კერპთაყვანისცემას ახასიათებს მინარევი თაყვანისცემაში – გამ. 32:4-6, 21-24; შდრ. 1 კორ. 3:12.
- გ. მას შემდეგ, რაც ისრაელის შვილები თაყვანს სცემდნენ ოქროს ხბოს, მოსე მიხვდა, რომ უფლის თანდასწრება უკვე არ იქნებოდა ხალხს შორის, ამიტომ მან მოშალა თავისი კარავი და დადგა ის ბანაკისაგან მოშორებით; შედეგად მისი კარავი გახდა ღმერთის კარავი, რადგან იქ იყო ღმერთის თანდასწრებაც, და მისი ლაპარაკიც – გამ. 33:7-11.
- დ. მას შემდეგ, რაც მოსემ აიღო თავისი კარავი და გამოყო ის კერპთაყვანისმცემელი ბანაკიდან, უფალი ელაპარაკებოდა მას პირის პირ, როგორც ადამიანი ელაპარაკება თავის მეგობარს (მუხ. 11. 14); ღმერთი და მოსე იყვნენ ამხანაგები, კომპანიონები, პარტნიორები, რომლებიც აკეთებდნენ ერთსა და იმავეს საქმეს და ინაწილებდნენ საეთო ინტერესებს დიად საწარმოში; მოსეს ჰქონდა ახლო ურთიერთობა ღმერთთან, და ის იყო ადამიანი, რომელმაც იცოდა ღმერთის გული, ადამიანი თანახმად ღმერთის გულისა და ადამიანი, რომელსაც შეუძლია შეეხოს ღმერთის გულს.
- III. ღმერთმა მოსეს მეშვეობით წარუდგინა განახლებული სწავლება ახალ თაობას ისრაელის შვილებისა მათი ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ იმ მიზნით, რომ მოემზადებინა ისინი შესვლისათვის ღმერთის მიერ დაპირებულ კეთილ მიწაზე და დაემკვიდრებინა ის**

როგორც მათი საკუთრება; მას შემდეგ, რაც პირველი თაობა, ქალებისა და იესო ნავეს ძის გამოკლებით, მთლიანად მოკვდა, მეორე თაობა მზად იყო, შესულიყო კეთილ მიწაზე და მოეპოვებინა ის:

- ა. პირველი თაობა არის წინასახე ჩვენი ძველი კაცის; მეორე თაობა არის წინასახე ჩვენი ახალი ადამიანისა – რჯლ. 2:14; 8:6-10; გამ. 3:8; კოლ. 1:12:
1. ჩვენ უნდა ვიყოთ ისინი, ვინც იზრდებიან სიცოცხლეში, შედიან სრულ დაუფლებაში და ტკობაში ყოვლისმომცველი ქრისტეთი, ღმერთის მიერ დაპირებული დედამიწით; გარდასახვა არის ის, რომ ძველი კაცი მთლიანად კვდება, ხოლო ახალი კაცი იზრდება; ღმერთის სახლმშენებლობა მიმართულია იმისკენ, რომ ჩვენი ძველი კაცი (გარეგანი ადამიანი) იმსხვრევა, ხოლო ჩვენი ახალი კაცი (შინაგანი კაცი) ახლდება დღითი დღე – 2 კორ. 4:16.
 2. უფლის წყალობით და მადლით იმ მომენტიდან, რაც ჩვენ მივედით უფლის აღდგენაში, ჩვენ ვიმყოფებით განახლების პროცესში ჩვენი ზრდისათვის სიცოცხლეში და გარდასახვისათვის სიცოცხლეში, რასაც შევყავართ ჩვენ ქრისტეთი როგორც ჩვენი კეთილი მიწით ტკობაში ღმერთის ნაგებობისათვის და ღმერთის სამეფოსათვის – 3:18; რომ. 12:2.
- ბ. ჩვენი გარდასახვა სიცოცხლეში ხდება მასთან ერთად, რაც ჩვენ ნებას ვაძლევთ ქრისტეს სიტყვას, უხვად დამკვიდრდეს ჩვენში (კოლ. 3:16); რჯლ. 8:3-ში ნათქვამია, რომ „არა ერთი პურით ცხოვრობს ადამიანი, არამედ ყველაფრით, რაც გამოდის იეჰოვას ბაგედან, ცხოვრობს ადამიანი“; მათეს 4:4-ში ნაცვლად სიტყვებისა „ყველაფრით“ გამოყენებულია გამოთქმა „ყოველგვარი სიტყვით“:
1. ყველა სიტყვა ბიბლიაში არის ღმერთის სუნთქვა, და ყველა ეს სიტყვა აღნიშნავს ქრისტეს, რომელიც არის ღმერთის სიტყვის ერთობლიობა (იოანე 1:1; გამოცხ. 19:13) ღმერთის შეიღების სიცოცხლისა და სასიცოცხლო შეწვევისათვის; ვიცხოვროთ ყოველგვარი სიტყვით, გამოსული ღმერთის ბაგიდან, – ნიშნავს ვიცხოვროთ ქრისტეთი, ღვთაებრივი სუნთქვის განკაცებით (იოანე 6:57, 63; 20:22).
 2. ვინაიდან წერილები არის ის, რაც ამოსუნთქა ღმერთმა, ის, რაც გამოვიდა მისგან როგორც სუნთქვა (2 ტიმ. 3:16), ჩვენ უნდა ჩავისუნთქოთ ჩვენში წერილი, მივიღოთ ღმერთის სიტყვა ყოველგვარი ღოცვით (ეფეს. 6:17-18); როდესაც ჩვენ ვასწავლით ბიბლიას, ჩვენ უნდა ამოვისუნთქოთ ჩვენგან ღმერთი ადამიანებში.
 3. იმისათვის, რომ მთლიანად მოვიპოვოთ ქრისტე როგორც კეთილი მიწა, ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი სიახლე და სიხალასე უფალთან, დღითი დღე მივიღოთ მისი ახალი ლაპარაკი ჩვენ მიმართ (გოდ. 3:22-24; რჯლ. 34:7; რომ. 7:6; იერ. 15:16); ჩვენ უნდა გაფრთხილდეთ, რომ არ დავძვლდეთ ამ დედამიწაზე (რჯლ. 4:25); სიტყვა „დავძვლდეთ“ გულისხმობს „სულიერი სიახლის დაკარგვას და თავდაპირველი შთაბეჭდილებების დაკარგვას გამოწვეულს ჩვევის ან ერთ ადგილას ხანგრძლივი ყოფნის გამო“ (ს. რ. დრაივერი).
 4. თუ ჩვენ გვიყვარს ღმერთი, ვიმდაბლებთ თავს და მივდივართ უფალთან როგორც ცოცხალ სიტყვასთან მის დაწერილ სიტყვაში, ღოცვით ვკითხულობთ მის სიტყვას, ის ხდება ჩვენთვის სულის მიერ გამოყენებული სიტყვა; მისი მყისიერი სიტყვები არის ჩვენთვის სული და სიცოცხლე ჩვენი შეწვევისათვის და კვებისათვის, ჩვენ ვივსებით ღმერთის არსით მისი სიტყვების მეშვეობით, და ჩვენ ვხდებით ერთი ღმერთთან სიცოცხლითა და ბუნებით, მაგრამ არა ღვთაებაში მისი დიდებისათვის, მისი გამოხატულებისათვის – იოანე 5:39-40; 6:57, 63; ეფეს. 5:26-27.

IV. განახლებული სწავლება, განხორციელებული ღმერთის მიერ, იყო მისი ბრძანება მისი ხალხისათვის ცხრა ასპექტში:

- ა. ჩვენ უნდა გვეზიარდეს უფლის; გვეზიარდეს უფლის – ნიშნავს გვეზიარდეს, რომ შეურაცხყოფა მივაყენოთ მას, დაგვარგოთ მისი თანდასწრება და გვეზიარდეს, რომ არ მივიღოთ ის, როგორც ჩვენი ჯილდო შემდეგ საუკუნეში; ჩვენ უნდა გვეზიარდეს, რომ გამოვტოვოთ უფლის ღიმილი ამ საუკუნეში და მისი ჯილდო მომავალ საუკუნეში – იგავ. 1:1, 7; ეფეს. 4:30; 2 კორ. 5:9-10.
- ბ. ჩვენ უნდა ვიაროთ ღმერთის გზებით; ყველაფერი, რასაც წარმოადგენს ღმერთი, – არის გზა ჩვენთვის; აქედან გამომდინარე, მივიღოთ ის, რასაც წარმოადგენს ღმერთი, როგორც ჩვენი გზები და ვიაროთ ამ გზებით – ნიშნავს, ვიცხოვროთ ღმერთი, ვიცხოვროთ ქრისტე; მივიღოთ ქრისტე როგორც ჩვენი გზა – ნიშნავს ვიცხოვროთ ის, ხოლო ვიცხოვროთ ის – ნიშნავს გამოვხატოთ ეს, განვადილოთ ის – იოანე 14:6; ფილიპ. 1:19-21ა.
- გ. ჩვენ უნდა გვიყვარდეს უფალი იესო, რომელიც არის ჩვენი ღმერთი (იოანე 20:28); ვინაიდან ღმერთს უყვარვართ ჩვენ და მოგვაქცია ჩვენ თავისი ნაზი გრძნობები (რჯლ. 10:15; იერ. 31:3), ჩვენ უნდა გვიყვარდეს ის პასუხად, მივმართოთ ჩვენი ნაზი გრძნობები მისკენ (1 კორ. 2:9).
- დ. ჩვენ უნდა გვიყვარდეს ღმერთი და ვემსახუროთ მას მთელი ჩვენი გულით და მთელი ჩვენი სამშინველით; ჩვენი გული შეერთებულია ჩვენს სულთან, რადგან ჩვენი სინდისი, რომელიც არის ერთი-ერთი ფუნქცია ჩვენი სულისა (რომ. 9:1), ასევე არის ჩვენი გულის ფუნქცია (ებრ. 10:22); ამგვარად, ის, რომ ჩვენ გვიყვარს ღმერთი და ვემსახურებით მას მთელი ჩვენი გულით და მთელი ჩვენი სამშინველით, აღნიშნავს, რომ ჩვენ გვიყვარს ის და ვემსახურებით მას ასევე ჩვენი სულით (რომ. 1:9), რომელიც არის სიყვარულის სული (2 ტიმ. 1:17).
- ე. ჩვენ უნდა დავიცვათ მისი მცნებები და დადგენილებები, რათა ჩვენთვის იყოს კარგი; ეს ნიშნავს, რომ დღეს ჩვენ უნდა „დავიცვათ ქრისტე“ როგორც სინამდვილე ღმერთის მცნებებისა და ჩვენთვის მოტანილი ქრისტეს სიმდიდრე, რათა ჩვენ ვიყოთ კურთხეულნი – რჯლ. 10:13.
- ვ. ჩვენ უნდა მოვიტრიალოთ ჩვენი გულის უკიდურესი ხორცი; ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ჯვარს ვაცვამთ ხორცს (გალ. 5:24) – ყველაფერს, რასაც ჩვენ წარმოვადგენთ და გავგაჩნია ჩვენს ბუნებრივ არსებაში, – იმის მეშვეობით, რომ ჩვენ ვცხოვრობთ და ვმსახურობთ ჩვენს ხელახლაშობილ სულში (რომ. 1:9; 2:28-29; 7:6; 8:4, 16); ეს გვხდის ჩვენ ნამდვილ წინადაცვეთად, მათ, „ვინც მსახურობს ღმერთის სულით, და თავს იქებს ქრისტე იესოთი და არ არის დარწმუნებული ხორცში“ (ფილიპ. 3:3).
- ზ. ჩვენ უკვე აღარ უნდა ვიყოთ მკაცრები, ჩვენი სიმკაცრე აღნიშნავს ჩვენს ჯიუტ და მოჯანყე ნებას (რჯლ. 31:27), რომელიც უნდა იყოს დამორჩილებული და აღმდგარი ქრისტეთი მისი როგორც გარდამსახველი სულის მეშვეობით, რათა გახდეს ჩვენი სილამაზე ჩვენ მიერ მათ მორჩილებაში (ქებ. ქ. 1:10; ფილიპ. 2:13).
- თ. ჩვენ უნდა მივეკრათ ქრისტეს როგორც ღმერთის მთელ აღთქმას; მაშინ ჩვენ განვმტკიცდებით და ვიქნებით შთაგონებულნი, რათა ვიმოდროთ წინ და მოვიპოვოთ ქრისტე როგორც ჩვენი კეთილი მიწა (რჯლ. 11:8, 24); ეს ნიშნავს, რომ ჩვენ მოვიპოვებთ ქრისტეს (ფილიპ. 3:8); გარდა ამისა, ჩვენი დღეები გაგრძელდება ქრისტეში (რჯლ. 11:9, 21), ღმერთის მხერა იქნება მომართული ჩვენზე, რათა იზრუნოს ჩვენზე და მოგვცეს ჩვენ კურთხევა მისი თანდასწრებისა (მუხ. 12), და ჩვენ დავტკბებით ზეციური წვიმით, სულის მიერ მორწყვით, რათა მოვიმკათ ქრისტეს მოსავალი (მუხ. 14-15).

- o. „მისი სახელით დაიფიცე. ის არის შენი ქება, და ის არის შენი ღმერთი, რომელმაც გააკეთა შენთვის ეს ღიადი და საშინელი საქმეები, რომლებსაც ხედავდა შენი თვალები“ (10:20ბ-21); თუ ვილაპარაკებთ ახალი აღთქმისეული ენით და ახალი აღთქმის განცდების თანახმად, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ მოვუხმობთ უფლის სახელს, რათა დავტკბეთ მისი ორგანული გადარჩენით და მისი აურაცხელი სიმდიდრით (რომ. 10:12-13).